



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 127
07/03/2017

ბრძანება

127-09-4-201703071713



სოფელ ბელეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგების ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის №3487-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაგრძელდა ადმინისტრაციული წარმოება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრიორიტეტული ღონისძიებით დაგეგმილი სოფელ ბელეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება (№1087. 30.12.2016 წ.) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 39-ე მუხლის (მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემა) თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის წარმოგიდგენთ სოფელ ბელეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტს, რომელიც შესრულებულია ზემოხსენებული დადგენილების XI-ე თავის 53-ე მუხლის, XII-ე თავის და XV-ე თავის 67-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაიცეს სოფელ ბელეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის ნებართვა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე თავის 53-ე მუხლისა და ხულოს მუნიციპალიტეტის

გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლადის 2017 წლის 02 მარტის N587-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) გაიცეს სოფელ ბელეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის ნებართვა.
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;
- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა